**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 თვით | . . 10 მ. | — კ. |
| 11 ,, | . . 9 ,, | 50 ,, |
| 10 ,, | . . 8 ,, | 75 ,, |
| 9 ,, | . . 8 ,, | — ,, |
| 8 ,, | . . 7 ,, | 25 ,, |
| 7 ,, | . . 6 ,, | 50 ,, |
| 6 ,, | . . 6 ,, | — ,, |
| 5 ,, | . . 5 ,, | 50 ,, |
| 4 ,, | . . 4 ,, | 75 ,, |
| 3 ,, | . . 3 ,, | 50 ,, |
| 2 ,, | . . 2 ,, | 75 ,, |
| 1 ,, | . . 1 ,, | 50 ,, |


# ივერია


№ 204 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 204

**წლიური ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.

2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.

3. ხელის მოწერის დროს—3 მ, მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.


სოფ. ლამისყანის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვდელი **სიმონ ზაქარიას ძე ხახუტაშვილი** გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას ქ. ტფილისში დაუვიწყარის მეუღლის

**მარიამ პეტრეს ასულის ხახუტაშვილისას**

პანაშვიდი პარასკევს, საღამოს 6 სათზედ. მიცვალებულის გვამს გამოასვენებენ მიხეილის სამკურნალოს სამლოცველოდგან შაბათს, 4 ენკენისთვეს, დილის 9 საათზედ, კუკიის წმ. ნინოს ეკკლესიაში ანდერძის ასაგებად და დასაკრძალავად ამავე ეკკლესიის სასაფლაოზედ. (1—223—1).

---

**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზედ—15 კაპ. სტრიქონი, მეოთხეზედ—10 კაპ., მთელი გვერდი, ანუ დიდი განცხადება, ცალკე მორიგებით.

---

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

პირველ სეკდემბრიდგან წლის დამლევამდე ჰღირს . . . 4 „ 75 კაპ.

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჰღირს:

პირველ სეკდემბრიდგან წლის დამლევამდე ქალაქში . . . . 2 „ 25 „

„ „ „ „ ქალაქ გარედ . . 2 „ 50

გაზ. „ივერიის“ **კანტორა** ყოველ-დღე ღია არის—დილის 9 საათიდამ 3 საათამდე და საღამოს 5 საათიდგან 8-მდე; კვირა და უქმე დღეს—12 საათ. 2 საათამდე.

## ხელის-მოწერა მიიღება:

**ტფილისში:**—„ივერიის“ რედაქციაში (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურთა ქარვასლა).

**ქუთაისში:**—წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, ბეჟანეიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

**ბათომში:**—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში და ჰელიძის წიგნის მაღაზიაში.

**საგურამში:**—პეტრე მაჭავარიანთან.

**შორაპანში:**—პართენ ნასიძესთან.

**განჯაში:**—სოფრონ კანდელაკთან (სადგურზედ).

**გორში:**—ანტონ კასრაძესთან.

**საფოსტო ადრესი:** Тифлисъ, Редакція „Иверія“.

---

## ხუთი ახალი წიგნი

წიგნის მაღზია „ცოდნა“-ს გამოცემა.

| | |
|---|---|
| ილია ჭავჭავაძის ლექსები . . . . . . | 15 კაპ. |
| რაჭა, სოსიკო მერკვილაძისა . . . . . . | 20 ,, |
| რაშია ბედნიერება, იასე რაჭველისა . . . . . | 10 ,, |
| სამშობლო და კაცობრიობა, ივ. მაჭავარიანისა . . . | 10 ,, |
| ნაკვესები ქართველ მწერალთა და ბრძენთა ნათქვამი . . | 7 ,, |

ვინც ჩვენ მიერ გამოცემულ წიგნების, თვითეულ გამოცემიდგან იყიდის არა ნაკლებ ერთის მანეთისას, ყოველ მანეთში დაეთმობა თითო აბაზი. მისამართი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“. (40—26).

მაღაზიის პატრონი სოსიკო მერკვილაძე.

---

გამოვიდა ‹ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი წიგნი

## ლალაში

დრამა-ლეგენდა თ-დ ალ. სუმბათაშვილისა,

ავტორის სურათით და წინასიტყვაობით,

თარგმანი გრ. ყიფშიძისა.

გამოცემა «ივერიის» ამხანაგობისა.

**ფასი ერთი მანეთი**

„ივერიის“ **ხელის მომწერთ**, რომელთაც სრულად არა აქვთ წლიური ფასი შემოტანილი, წიგნი დაეთმობათ თვით რედაქციაში ათ შაურად.

ვინც ათს ცალსა და მეტს იყიდის ან დაიბარებს რედაქციისაგან, თითო ცალი დაეთმობა 70 კაპ. ვინც ორმოცდა ათს იყიდის—60 კაპ. ფოსტის ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

**ამ პიესის წარმოდგენა მთარგმნელის ნება-დაურთველად საცენზურო წესდების 1864 მუხლის ძალით აკრძალულია.**

---

**ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა**

ამით აცხადებს, რომ კვირას, 19 სეკდემბერს, დილის 11 საათზედ, ქართულ თეატრის ფოიეში დანიშნულია

საზოგადოების წევრთა

## წლიური კრება

განსახილველი საგნები:

1) განხილვა და დამტკიცება წარსულის წლის ანგარიშისა.

2) სარევიზიო კომისიის მოხსენება.

3) არჩევანი გამგეობის შვიდის წევრისა და სამის კანდიდატისა.

4) არჩევანი სარევიზიო კომისიის წევრთა.

5) არჩევანი საზოგადოების ახალ წევრთა. 4—2

---

გამოვიდა ახალი

## კატალოგი

წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიის წიგნებისა. მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ უფასოდ წიგნის მაღაზიებში.

---

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართვ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

## ქაჯანა

მოთხრობა ნიკ. ლომაურისა.

2.

## ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Общество распрстр. грамотности.

---

კბილის ექიმი

## ალ. სოლოლაშვილი

## გადავიდა

გოლოვინის პროსპექტზედ, მდივანის სახლში, № 12, „კრუჟოკის“ გვერდზე.

ავადმყოფებს მიიღებს დილით 10—3 საათამდე, საღამოთი 5—7-მდე. კვირაობით 9—10 საათამდე. (5—3).

---

გამოვიდა და ისყიდება

## კატალოგი

წარმოსადგენად ნება-დართულ ქართულ პიესებისა.

**ფასი 15 კაპ.**

ვისაც სურს ყიდვა, მიჰმართონ ქართულ დრამატიულ საზოგარდოების კანტორაში ბ-ნ დავ. ნახუცრიშვლის (3—3)

---

## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დ ი ლ ი თ:**

**ა. ნ. დიასამიძე.** 11—12 საათ.

**ა. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 10—11 ს.

**ა. ი. გალარჯიშვილი.** ბავშვებისა, 9—10 ს.

**ლ. მ. მოჩინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 2—1 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

---

**ტყეშელაშვილი.**—კბილის ექიმი იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათ.

ექიმი ქალი **მ. კ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 11—12 ს. სამშ, ხუთშ. შაბათ.

**გრ. მ. სობოლევსკი** — დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**პ. ა. ბეიერი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

სამკურნალოში ჰხდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაკტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

46—8 ტელეფონი № 274 (წ.)

---

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დ ი ლ ა ო ბ ი თ:**

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. გ. ავეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**კ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**გ. ა. თარხანოვი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კკრაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოლაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

**გ. ს. ელვი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. ჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**გ. ა. თარხანოვი.** $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **კ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.

---

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ,**—ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს —67 საათამდე.

**გძელიშეილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

**გაბაშვილი გრიგოლ,**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩნაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**მარიამ ნიკოლოოზის ასული ზაალიშვილისა,** მიხეილის პროსპექტი, № 145.

**დიასამიძე ალექსანდრე,**—ლორის-მელნიქოვის და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ მესხიშვილის სახლი, № 18, იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 და საღამოთი 6—8-დე.

---

## ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

ახალი ლოცვა.—ლიაოიანის ომი.—მუკდენთან.—პორტ-არტურის ციხე-სიმაგრე.—„გრაჟდანინის“ აზრი.

უწმინდეს სინოდს დაუდგენია, განსაკუთრებული ლოცვა დააწესოს რუსის ქრისტეს-მოყვარე მხედრობის გამარჯვებისა და სასტიკ და გაიძვერა მტრის დამარცხებისათვის. ლოცვას წირვის შემდეგ აღავლენენ კვირა-უქმე დღეს, როდესაც სადღესასწაულო პარაკლისი არ არის დაწესებული. ლოცვისა და დღეგრძელობის შემდეგ, წესისამებრ, ომში მოკლულ მეომართაც მოიხსენებენ.

—

«ეხო დე პარიჟ» იუწყება, ლიაოიანის ომში დიდად დაშავდა ნეჟინის პოლკი, რომელიც გენერალ შტაკელბერგის ჯარში იყო. ამ პოლკში ყველა აფიცრები, რიცხვით 61, ან დასჰრეს და ან მოჰკლეს; ბოლოს დაბალ ჯარის კაცების უფროსობა უნტერ-აფიცრმა იკისრა. (ნოვ.).

—

«ლოკალ-ანცეიგერის» სიტყვით, ლიაოიანში რუსებს ბევრი სურსათი და სხვა ქონება არ დაუტოვებიათ, რადგან თავის დროს მოასწრეს და 500 დატვირთული ვაგონი გამოგზავნეს. ამბობენ მხოლოდ, რომ ლიაოიანის სიმაგრეებზე რუსებმა 25 ზარბაზანი დასტოვეს, რადგან გამოტანა აღარ შეიძლებოდაო. (იქვე).

—

მუკდენიდგან ვას. ნემიროვიჩ-დანჩენკო იწერება, ლიაოიანის ომში ისე აირივნენ მოპირდაპირე მეომრები, რომ თვისსა და მტერს ველარ არჩევდნენო. ჩვენს მესამე კორპუსს ერთი ძველი სიმაგრე ეჭირა, რომელიც შემდეგ დასცალა და იაპონელებმა დაიჭირეს. იაპონელების ჯარმა ეს გარემოება არ იცოდა და სიმაგრეს ყუმბარებს ესროდა და იერიშიც მიიტანა. საშინელი ბრძოლა იყო. როდესაც იერიშის მომტანნი ციხეში შეცვივდნენ და თავის მოძმენი დაინახეს, მიწაზე დაეცნენ და თავში წაიშინესო. (რ. ს.).

—

ტელინგიდგან დეპეშით ატყობინებენ გაზეთ «ბირჟ. ვედ.»-ს: აგვისტოს 13-დგან 23-მდე ლიაოიანის ომში ორთავ მხარემ 60—70 ათასი კაცი დაჰკარგა. ამისთანა სისხლის ღვრის შემდეგ, საჭიროა ჯარმა შეისვენოს. გაოლიანი აჭირებს საქმეს. მცენარე ისე მაღალია, რომ მხედარი შიგ იმალება, ნიადაგი სულ დაჩრდილულია და ნოტიო, შიგ კაცს ფეხი ეფლობა; ამასთან ჰაერი სრულიად არა მუშაობს და სული ეხუთება, თითქო აბანოშიაო. სადაც გაოლიანი გასჭრეს, იქ მაღალი და მსხვილი ღერო დარჩა ჯოხებისავით და ცხენს ვერ გაუვლია. შიგ ბევრი დაჭრილი დარჩებოდა და უპატრონოდ სულს განუტევებდა. საზარელი სანახავია.

—

ტოკიოდგან დეპეშით ატყობინებენ უცხოეთის გაზეთებს, 20,000 ჯარის კაცი გემებზე დასხეს და ომის ველისკენ გაგზავნიანო. გემებზე 30 ზარბაზანიც არის. 12 გემიც, სურსათით დატვირთული, ნიუჯუანს გაგზავნესო. (ბ. ვ.).

—

«ლოკალ-ანცეიგერსა» სწერენ ლონდონიდგან: პორტ-არტურთან, ჯვრის ქედზე, რუსებმა ახალის სისტემის ფორტი გააკეთეს. საძირკველი სულ ცემენტის დუღაბით გააკეთეს. ზარბაზნებს საგანგებო რკინის ჯავშნები მოუწყეს. იმ შემთხვევისათვის, თუ ეს ფორტი მტერმა შეარღვია, ფორტზე პატარა ზარბაზნებიც არის, ღულით ციხისკენ მოშვერილი, რომ შესულ მტერს დაუშინონ. ფორტების ნომრები რუსებს შეუცვლიათ, რომ იაპონელების ჯაშუშები მოატყუონ. უფრო

ძლიერი ფორტები აღმოსავლეთისკენ არის, ჩრდილოეთისა და ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს. ფორტები თხრილებითა და მავთულის ცხრილებით არის შეკრული. იაპონელებმა აქამომდე მხოლოდ ორი ბატარეა წაართვეს რუსებს, ჩიკვანშანის ფორტზედ, და ამას გარდა რამდენიმე ზარბაზანიმ ტრედის ფორტსა და ლიაოტეშანის კანდელზე. სპეციალისტები ამბობენ, პორტ-არტურის აღება შეუძლებელიაო. ციხეში სურსათი საკმაოდ არისო. (რ. ვ.).

—

«ვრაჟდანინი» ამტკიცებს, ომი დიდი ბოროტებაა, რომელიც, არამც თუ აფერხებს კაცობრიობის წარმატების გზით სვლას, არამედ იმასაც კი სპობს, რაც კაცს აქამდე გაუკეთებია.

პატარა და უსუფთაო ჩინელების ქალაქთან, რომელსაც ათას-წლობით სთვლემდა და ხავს-მოკიდებულ კონსერვატიზმის ძილი სიცოცხლის ნიშანს უსპობდა, რაღაც თილისმით დრამა განჩნდა, რომლის მსგავსსაც, ვგონებთ, ველარავინ იხილავს,—დრამა, რომელიც ისტორიაში საყურადღებო ადგილს დაიჭერს. თითქო ორი მნათობი, ერთმანერთს ზურგ შექცეული და სხვა-და-სხვა მხარეს ცის კამარაზე მიმცურავი, ერთმანერთს პირისპირ შეხვდნენ და შეეჯახნენ! ღმერთმა უწყის, რად და რისთვის? ორი ერი, დედამიწის თავსა და ბოლოს დამკვიდრებული და სხვა და სხვა ნაირ ეთიკით ფრიად დაშორებულნი, ერთმანერთს გაუმკლავდნენ. ზნეობრივი სალარო თუ ნივთიერი ძალა მოიგროვეს ერთმანერთის გასანადგურებლად. რომლის სისხლი უფრო ბლომად დაიღვრება ლიაოიანის ნოყიერს ნიადაგზედ—მართლმადიდებლებისა თუ კერპ-თაყვანის-მცემლებისა?—ამაზეა დამყარებული მსოფლიო ისტორიის მომავალი მიმართულება. ვისი ზარბაზანი უფრო კარგად უმიზნებს, ვისი თოფი უფრო შორს სცემს, ვისი ძარღვები უფრო მოქნილია და ვისი სულიც უფრო მტკიცეა, აი არ უნდა იყოს გადამწყვეტი ორას მილიონის არსებისა, რომლებიც უსწორ-მასწოროდ დასახლებულან აღმოსავლეთს, სამხრეთისა და ჩრდილო-ოკეანების შუა. აი, რა დღეს მოვესწარით! აი, რას გვიმზადებდა პროგრესიული საუკუნე, ჩვენი სურვილი და ოცნება კაცთა შორის სათნოებისა და ბედნიერების დამყარების შესახებ.

ამ რამდენსამე დღეს ორი მილიონი ტყვია-ყუმბარა გასროლილა, ასაფეთქებელ წამლით გატენილი. ეს ტყვია-წამალი ერთად რომ შეიჯგუფოს, მონბლანის მთასაც კი თავის ადგილიდგან დასძრავს. რკინა, ფოლადი და ტყვია, ამ ომში ნასროლი, სამუშაო იარაღად და მანქანებად რომ გადაეკეთებინათ, თვალგადუწვდენელ მინდორ-ველს შეიმუშავებდნენ და ააყვავებდნენ. ამ ნახევარ მილიონ ახალგაზდა და ღონით სავსე მეომრებს იარაღის ნაცვლად გუთნისთვის რომ მეოკიდნათ ხელი და იმდენს ხანს ემუშავნათ, რამდენსაც თოფ-ზარბაზნის ტენასა და სროლას უნდებიან, შეეძლოთ მანჯურიის დიდი ნაწალი საუცხოვო ხნულებად ექციათ. ეს ნახევარი მილიონი ხალხი ერთმანერთს ისეთის სიყვარულით რომ მოპყრობოდნენ, როგორც დღეს მტრობასა და მძულვარობას იჩენენ, მაშინ... მესმის, რომ უადგილოა ამისთანა შედარება! ხოლო ადამიანის ბუნება სულ ამისთანა ერთმანერთის საწინააღმდეგო სურვილებით არის შეზავებული: ქირში ლხინი ენატრება, ავადმყოფობაში—კარგმყოფობა, ომში მშვიდობიანობა ბრძოლაში—შესვენება. ამ გაჭირვებულ გარემოებაში და გამწვავებულ ომში თავის-თავად იბადება აზრი მშვიდობიანობის დამყარებისა, ერის საკეთილ-დღეოდ. მაგრამ...

ოცნება მშვიდობიანობისა ამ ჟამად იმას ემსგავსება, ბუქ-ნამქერში გზა-დაბნეულმა ძილი რომ ინატროს. ძილი დაქანცულისთვის—სიკვდილია. ზავი ამდენ დამარცხების შემდეგ—ჩვენი პოლიტიკური სიკვდილია.

ასე გვეჩურჩულება ჩვენივე გულის ხმა. და რაც უფრო ღრმად უფიქრდები, მით უფრო ღრმად იფლობი ეჭვთა უფსკრულში. დიდის ჭკუისა და ენერგიის კაცები, სახელმწიფო მოღვაწენიც კი, როცა სულის კვეთებითა და გულის ქენჯნით დაეკითხები — რას უნდა მოველოდეთო? — მხარს იწევენ და დაღრემილად გიპასუხებენ: «არ ვიცითო!» ის კი არა, თუ სწორედ დღეს ესაჭიროება რუსეთს მტკიცედ და ნათლად ცოდნა თავ-ბედისა. სად ვეძებოთ, როგორ ვიპოვოთ? როგორ მივყვეთ ასე სწრაფად მიმქროლ აწმყოში და გამოვარკვიოთ მომავალი? გუშინ კიდევ იყვნენ ოპტიმისტები. დღეს თითქმის აღარავინა სჩანს; ვიდრე ლაშქარი ლიაოიანის სამხრეთად იყო, გვეგონა, ყოველივე თავის წესზე მიდის, ომის გეგმას ემორჩილებაო. როდესაც ლაშქარი ჩრდილოეთს მოექცა, სულ სხვა აზრი დაიბადა, «გეგმაზე» აღარას ამბობენ. მხოლოდ მწარედ კითხულობენ: მოასწრობენ უკან დაწევას? გზა ხომ არ გადაუჭრესო? იგივე პატრიოტები, რომლებიც იაპონიის მსწრაფლ განადგურებასა და დამხობას გვპირდებოდნენ, დღეს თავდაუზოგველნი წყნარად აცხადებენ, ფაქტებს ვერსად წაუხვალო.

—

# ტფილისი

—

ტფილისის საურთიერთო საკრედიტო საზოგადოებისა და ტფილისის საკომერციო ბანკის საზოგადო კრებებზედ დადგენილ იქმნა, გადაიდოს უწყებული თანხა ომის საჭიროებისათვის. 13 აგვისტოს ფინანსთა მინისტრმა ამის თაობაზედ მოხსენება წარუდგინა ხელმწიფე იმპერატორს, რომელმაც კეთილ ინება და უმაღლესად ჰბრძანა: მადლობა გამოეცხადოს შემომწირველთ.

*_* ტფ. სათავად-აზნაურო სასწავლებელში მისაღები ეგზამენები უკვე დასრულდა. წელს მხოლოდ მოსამზადებელს კლასში იყო თავისუფალი ადგილები. „ცნობის ფურცელში“ გამოცხადებული ამბავი, ვითომც 56 მოწაფე მიიღესო, ნამდვილი არაა: ჯერ არ არის გამოცხადებული, თუ რამდენი ბავშვი მიიღეს. სწავლა დაიწყება ორშაბათს, 6 სეკდემბერს, და მაშინ გამოაცხადებენ, რამდენიც იქნება მიღებული. თხოვნა ძლიერ ბევრსა ჰქონდა წარდგენილი.

*_* გუშინ, 2 სეკდემბერს, ტფილისში ჩამოვიდა სახელმწიფო კონტროლერი, ინფანტერიის გენერალი პ. ლ. ლობკო.

*_* ქართულ სახალხო წარმოდგენათა გამმართველმა სექციამ რეჟისორად მიიწვია ბ-ნი ნიკ. ავალიშვილი, რომელმაც სურვილი რეჟისორობისა უკვე გამოაცხადა.

*_* გუშინ-წინ, 1-ლ სეკდემბერს, იმპერატორ ნიკოლოზ I-ის დედათა ინსტიტუტში დაიწყო საკონკურსო ეგზამენები. სულ 10 თავისუფალი ადგილია ინსტიტუტში და ეგზამენს კი 27 მოწაფე-ქალი იჭერს.

*_* ტფილისის სასტატო ინსტიტუტში დასრულდა მისაღები ეგზამენები. წელს პირველ კლასში მიიღეს 30 კაცი; მათ შორის მხოლოდ ერთია ქართველი.

*_* ტფილისის საბაღოსნო სასწავლებელში მისაღები ეგზამენები დაიწყება 25 სეკდემბერს და დასრულდება 29-ს. უკანასკნელ კლასის მოსწავლეთა ეგზამენები სპეციალურ საგნებში მოჰხდება 15-სა და 30 სეკდემბერს.

*_* ტფილისის სასულიერო სასწავლებლის ქართულ ენის მასწავლებლად დაინიშნა გორის სასულიერო სასწავლებლის ქართულის ენის მასწავლებელი ბ-ნი შ. შიუკაშვილი.

*_* გუშინ-წინ, 1 ლ სეკდემბერს, მთაწმინდაში, თხივალის ქუჩაზედ მცხოვრებ კოლ. ასესორის ქვრივის პრეობრაჟენსკაიას სახლში შესულან ქურდები დილის 11 საათზედ და მოუპარავთ ამ სახლში მდგმურისათვის ნივთები, ტანისამოსი და სხვა და სხვა ორნეები, სულ 59 მან.

*_* ქალაქის გამგეობის უკანასკნელ კრებაზედ, ქალაქის იურისკონსულტის მოხსენების თანხმად გადადებულ იქმნა 2,063 მან. 50 კაპ. პაპკოვის წისქვილის ნასყიდობის დასამტკიცებლადა და სხვა ხარჯთა დასაფარავად.

*_* 12 სეკდემბრისთვის განზრახულია ხელოსანთა ამქრებისა და ტფილ. სახელოსნო გამგეობის დეპუტატთა კრების მოწვევა.

*_* 31 აგვისტოს ექსკურსიიდგან დაბრუნდნენ ტფილ. საბაღოსნო სკოლის მოსწავლენი, რომელთაც ხელმძღვანელობდა ამავე სკოლის გამგე ბ-ნი ხუნდაძე. ექსკურსანტებმა დაათვალიერეს აჯამეთში ძმ. ანანოვების მამული, საქარის სანერგე, ჩაქვის ჩაის პლანტაციები და ბათუმი.

*_* გუშინ, 2 სეკდებერს, თიანეთში გაემგზავრა ტფილ. ოლქის სასამართლოს სესია, რომელიც იქ დაჰყოფს 8 სეკდემბრამდე.

*_* ქალაქის მოურავის მოადგილემ თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა შეჰკრიბა გარდასახადთა ამკრებნი და წინადადება მისცა, იღონონ რამე, რომ თავ-თავის დროზედ იკრიბებოდეს გარდასახადებიო.

*_* გაზ. «ცნობის ფურც.»-ს შემდეგს ატყობინებენ პირ-აქეთ ხევსურეთიდგან: «ბარისახოს საზოგადოებაში, ახოობის ხატობაში, 21 აგვისტოს, გუდა-მაყრის მცხოვრებმა ბერ-დეკანოზმა ქრელა ბეკაურმა წინააღმდეგობა გაუწია ადგილობრივ ბოქაულს ი. ოზიაშვილსა და ადგილობრივ ბლაღოჩინს ი. ხატიაშვილს, რომელნიც უშლიდნენ ხევის ბერ-დეკანოზებს თავიანთებურად დამწყალობნებას».

## ტფილისის ხელოსანთა საყურადღებოდ.

(წერილი რედაქციის მიმართ)

„ივერიის“ № 184-ში წავიკითხე მცირე შენიშვნა, რომლითაც ტფილისი ტყავეულობით მოვაჭრენი უსაყვედურებდნენ ბ-ნ ნეიშილერს, ტყავეულობით მოვაჭრეს. დიდი ხანი არ არის, რაც ნეიშილერმა დაიწყო ტფილისში ტყავეულობით ვაჭრობა და, უნდა გულახდით ვაღვიაროთ, ძლიერ ხელ მისაცემ ფასებში ჰყიდის საქონელს, მხოლოდ 50 მან. ნაკლებზედ-კი არა ჰყიდის. ამით ნეიშილერმა დიდი კონკურენცია გაუწია სხვა მოვაჭრეებს. ეს უკანასკნელნიც ადგნენ და მიჰმართეს გულის წყრომით და ურჩიეს, თუ გინდა შენც ჯიბე გაისქელო და ჩვენც არ დაგვაკლოთ მოგება, 100 მ. ნაკლებ ნურავის მიჰყიდი საქონელსაო. სტატისტიკურის ცნობებით, რომელიც შეაგროვა კომისიამ, ვიცით, რომ ტფილისში 600 ფეხსაცმელების ქარხანაა. დღითი-დღე თუ არ ემატება ამ რიცხვს, არ აკლდება. აქედგან 5—10 ქარხნის პატრონი თუ იქნება იმისთანა, რომელიც მასალას რუსეთის ადგილობრივ ფაბრიკებიდგან იწერს, დანარჩენნი-კი, და ამასთანავე ძალიან მცირე რიცხვი, რის ვაივაგლახით ახერხებენ 50 მან. შეგროვებას ერთად და ისიც მაშინ არის მოსახერხებელი, თუ მთელს სახლის ავეჯს, ან ქამარ-საათს დააგირავებს გამსესხებელ კასაში, რომ ნეიშილერის ტყავეულობის საწყობიდგან იყიდოს მასალა, რომ რამოდენიმე გროში მოიგოს და გაუძლვეს ათას ნაირ საჭირ-ბოროტო საქმეს. მომეტებულ ნაწილს ხელმოკლე ხელოსნებისას კი ამისთანა ბედნიერება სიზმრადაც არ მოელანდებათ. ახლა იმ მცირეოდენთაც დაეხშობათ გზა, ეხლა, თქვენი მტერი, ღარიბი ხელოსანი ვერ მოახერხებს 100 მანეთის ერთად შეგროვებას. ისევ გაუხდით გაუმაძღარ კაპიტალისტთა სახვეწნელად საქმე. და ახლა თითონ იციან, როგორც 50 კაპ. საქონელს მანათად გაჰხდიან. ზოგი ჭირი მარგებელიაო,—ნათქვამია,—და ჩვენც ეს ჭირი გვარგებს, თუ ჩვენდა სასარგებლოდ გამოვიყენებთ. დიდი ხანია სწყურიანთ ჩვენს ხელმოკლე და შეუძლებელ ხელოსნებს ამხანაგობის დაარსება და ამ ამხანაგობამ, თუნდაც კერძო კაცთაგან შემდგარმა, უნდა დააარსოს ტფილისში ტყავეულობით სავაჭრო მაღაზია.

მაშ ნეტა რა აფერხებს და აბრკოლებს ამ ფრიად სასარგებლო, საშვილიშვილო და სანუგეშო საქმეს?! უფულობა? არა. ვაჭრობის ნიჭის უქონლობა? არც ეს. მაშ რა მიზეზიაო,—ჰკითხავს მკითხველი. —ისა, ბატონებო, რომ ჩვენს თავზედ ზრუნვა ჩვენ არ ვიცით. საქმის დამწყებნი, გულშემატკივარნი, მეთაურნი და ჩამჩიჩინებელნი არა გვყვანან და ჩვენ-კი, თუ სხვამ ძალად არ გაგვაკეთებინა რამე, ვერას ვაგვარებთ. საზოგადოდ, ქართველებს გვიყვარს ლიტონის სიტყვებითა და ლათაიებით ლაპარაკი, ჰაერში ბურბუშელის ზარბაზნებს ვმართავთ და საქმით კი არას ვაკეთებთ! მაშ რანი ვართ? რანი ვართ და—«მტრის არ მცნობნი, მოყვრის მგმობნი». მაშ რა ვქნათ, როდემდის უნდა ვიყვნეთ სხვის ლუკმად გარდაქცეულნი? ჩვენ, საზოგადოთ, ღარიბი—ხელ-მოკლე ხელოსნები, მხდალნი ვართ, გვეშინიან, ვერ მოგვიკიდნია ამ გვარ ფრიად სასარგებლო და დიდ საქმისათვის ხელი, თუმცა კი ვგრძნობთ სასურველს შედეგს ამ დიადის საქმისას. მაგრამ ამ ჩვენს დედა ქალაქ ტფილისში საკმაოდა გვყავს განათლებულნი კაცნი; რომელ მათგანსაც უნდა მივმართოთ რჩევა-დარიგებისა და კრებებზედ დასასწრებლად, ყველა დიდის სიამოვნებით დახმარების ხელს გამოგვიწვდის. როგორც ვიცით, პირველად საგანი ბ-ნმა ს. ბერძენიშვილმა აღძრა თავისს წერილებში. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ, როგორც შეგნებული და განვითარებული ხელოსანი, აზრს საქმედ გარდააქცევს. კარგი იქნება, ერთს კვირა დღეს თავისს სახელოსნო მაღაზიაში კრებას დანიშნავდეს ამ საქმეზედ მოსალაპარაკებლად. კრებაზედ ჩვენი ხელოსანთა მამასახლისი, ბ-ნი ალ. ნასყიდაშვილიც, უნდა იქმნას მოწვეული. თვითეული პაი ამხანაგობისა 50 მან. ეღირება. თუნდა ჯერ-ჯერობით 100 წევრისაგან რომ შესდგეს ამხანაგობა, 5,000 მ. შეგროვდება. ამ თანხას რუსეთისა და ადგილობრივი ფაბრიკებიც 500 მ. კრედიტს გაუხსნიან. ამ რიგად, შესდგება 5,500 მანეთი. ამ თანხით შეიძლება საქმის დაწყებაც. არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოებაც, რომ ზოგიერთი წევრი 2—4 პაის იყიდის და, თუ ამისთანაები ბევრი იქნება, ხომ უფრო მეტი თანხა შესდგება. როგორც პირადად მოლაპარაკებიდგან ვიცი, ს. ბერძენიშვილი 2 პაის იყიდის, თ. ჯანყალაშვილი—4 პაის, სილნაღელი ხელოსნები, რომელთაც ამ მცირე ხანში ამხანაგობა დააარსეს,—ვანო ჯანიაშვილი და ვანო იაკობიშვილი,—ორ-ორ პაის იღებენ. იგივე იაკობიშვილი, როგორც ვაჭრობაში დახელოვნებული, ერთ წელიწადს უსასყიდლოდ მაღაზიაში ვაჭრობასაც ჰკისრულობს. სოსიკო ნასყიდაშვილი იღებს ერთ პაის და მეც, ამ სტრიქონების დამწერი, ვიღებ ორ პაის. იმედია, ბევრი გამოჩნდება მსურველი წევრობისა. მაშ, ვუსურვებთ გამარჯვებას ყველა იმათ, რომელნიც მხურვალე მონაწილეობას მიიღებენ ამ ფრიად ნაყოფიერსა და სასარგებლო საქმეში, არ დაჰზოგავენ არც შრომას, არც მეცადინეობას და არ დაივიწყებენ ნ. ბარათაშვილის სიტყვებს:

---

# ფელეტონი

—

## მეზობლები.

დრამა ოთხ მოქმედებად.

(შემდეგი *)

### გამოსვლა მეოთხე.

გამოდის მაიკო და გამოაქვს სტუდენტის ტანისამოსი: ტუჟურკა, ლურჯი ბლუზა, ფართ ანი ქამარი და შარვალი. ყოველსავე ამას ხელში დაიჭერს, ერთ წუთს შეჩერდება, დააცქერდება და მწარედ ამოიგმენს.

მაიკო. ეს იყო, შვილო, შენი იმედები? განა ამისათვის შეგხაროდი, ჩემო ულვაშებ გადაწკეპილო ბიჭიკო, რომ მტერდუშმანებს გაეხვრიტათ შენი გული? (მიიხუტებს ნამკვდრევ ტანისამოსს გულზედ და წალასლასდება პირდაპირ წყლისკენ და მალე დაიმალება კიდეც. სულ პატარა პაუზის შემდეგ შემოდიან სცენაზედ სამხრეთ-დასავლეთით ილიკო შენაბდიშვილი და ლუარსაბ გელოვანიძე. ილიკო შუათანა ტანის კაცია. აცვია ნაცრის ფერი ევროპიული ტანისამოსი. ასეთივე პერანგი გრეხილით. ფეხებზედ ჩუსტები და გადმობრუნებული ტყავის საცვეთები აცვია, რომელიც მუხლებ ზემოდ უწევს. თავზედ შავი და ფართო შლიაპა. ცალ ხელში უჭირავს ერთი ზორბა, შავად შეღებილი ჯოხი; ჯიბეებში ახლად მიღებული ჟურნალ-გაზეთები უწყვია. მეჭადარავებული შავი იმა, თხელი შავი წვერ-ულვაში, შავგვრემანი და მკაცრი სახე ცეცხლ-მფრქვევის თვალებით—გატყობინებს, რომ ეს კაცი ძლიერის სულის პატრონია. მისი სევდიანი და ტანჯული სახე ამტკიცებს, რომ ეს კაცი მსხვერპლია მრავალ-გვარ უსამართლობისა და შეუსაბამო შრომისა. მისი მკაფიო ხან დინჯი, ხან ძრძნობიერა და ოდნავ ადელდვებული ხმის კილო კიდევ იმას, რომ თავის და წილად ნერვებიც შერყეული აქვს. შემოსვლის დროს ორივენი პაპიროზს სწევენ. ლუარსაბ ძვირფასი მუშტუქი უჭირავს პირში, ილიკოს კი—ჯოხისავებრ გრძელი, მსხვილი, ე. ი. სოფლური).

ლუარს. (შემოსვლისას შეიმოილაპარაკებს). მაშ, შენ, ილიკო, უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ პირდაპირ გერმანიაში წახველ?

ილიკ. ჰო.

ლუარს. რა კურსებზედ იყავ?

ილიკ. ფილოსოფიურზედ.

ლუარს. დიდ-ხანს დარჩი იქ?

ილიკ. სამ წელიწადს მხოლოდ.

ლუარ. რად მიატოვე ასე მალე?

ილიკ. სხვა და სხვა დამაბრკოლებელ მიზეზთა გამო, რომელიც ღარიბი კაცის ცხოვრებაში იშვიათი არ არის. შენც კარგა გესმება, რომ მე რუსეთის უნივერსიტეტშიაც ჩემის შრომით ვირჩენდი თავს. (უეცრივ შედგება, ჯერ აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედავს, მერე მუშტუქიდგან პაპიროზის ნამწვს გამობერტყავს და საცვეთის ყელში გაირჭობს). მოვედით სახლში, მაგრამ გული რაღაცნაირად მიფანცქალებს.

ლუარ. რადა?

ილიკ. დედა-ჩემისა და შენის შეხვედრისა მეფიქრება.

ლუარ. როგორ?

ილიკ. შენ რომ გაგიცნობს და დაგელაპარაკება, თავის უბედურობა მოაგონდება და ჯოჯოხეთი დატრიალდება... მაგრამ, ეჰ! (ხელებს ჩაიქნევს). სულ ერთია, წავალ ვეტყვი. (მიდის, ისევ მობრუნდება). ლუარსაბ! თუ შეატყო, რომ ღელდება, ხმაც უკანკალებს, აი მაშინ ეცადე გაართო და სულ სხვა საგანზე ჩამოუგდე ლაპარაკი. არამც და არამც არა ჰკითხო, „როგორა ბრძანდებიო“ და სხვა ამ გვარები.

ლუარ. ათას ხატზედ დავიფიცავ, რომ დედაშენზედ ავად შენა ხარ. წადი, კაცო, გაიგე, სძინავს თუ არა, დანარჩენი მე ვიცი. (ილიკო შედის სახლში, ლუარსაბი სცენის სიღრმისკენ გასწევს და ტყისკენ იცქირება დაფიქრებული. უეცრივ შენიშნავს სამგლოვიარო ძაძას და ცოტათი შეკრთება და იტყვის). რა საზარელი სანახავია!

### გამოსვლა მეხუთე.

ილიკო გამოდის უქუდოთ, ხედის ნაბიჯით, უფრო დაღონებული, ლუარსაბ მოტრიალდება.

ლუარსაბ. Ну?

ილიკო. სახლში არა სჩანს.

ლუარსაბ. მეზობლებში გაისეირნა, ალბად.

ილიკო. საოცარია, მე და ჩემმა ღმერთმა. ისეა დასუსტებული, რომ სული თუ შეუბერე, წაიქცევა და მაინც არა დგება ლოგინში. ნუ თუ ისევ წყლისკენ გასწია?

ლუარსაბ. მერე და რა არის აქ არა ჩვეულებრივი?

ილიკო. შენთვის არაფერი!

ლუარ. როგორ...

ილიკო. (მოჰკიდებს მკლავში ხელს და გაახედებს წყლისკენ). აი, ხომ ჰხედავ იმ დიდ მუხას, ტყის ბოლოში, წყლის პირად?

ლუარ. აბა, სადა?

ილიკო. როგორ ვერ ამჩნევ, კაცო, იმ ვეებერთელა ხეს, ხალხი ხელ-ფეხიან მუხას რომ უწოდებს. აი, მარშანიძიანთ სახლის ქვემოდ.

ლუარ. ჰა, ჰა, ჰა! ვხედავ, ვხედავ, მერე?

ილიკო. სწორედ იმ ალაგას დამიკლეს მტრებმა ჩემი დათიკო, კნეინა კატოს მეთაურობით.

ლუარ. ყმაწვილო, წარმოუდგენელია სწორედ! კაცი მოჰკლეს და მკვლელები კი თავისუფლად დაპარპაშობენ!

ილიკო. ჩვენს დუხჭირს დროში ყოველივე შესაძლებელია. ღრმადა ვარ დარწმუნებული, იმათ დამღუპეს და ისე ოსტატურად, რომ მართლ-მსაჯულებამ კვალს ვერ მიაგნო და, როგორც ჰხედავ, დაუსჯელები არიან... მაგრამ რას ვაქნევ იმათ დასჯას, როცა აღარა მყავს ჩემი დათიკო.

ლუარ. როდის მოხდა ეს სამწუხარო ამბავი?

ილიკო. ამ რამდენისამე თვის წინად... ეს ხომ არ მაკმარეს! დასაფლავების მესამე თუ მეოთხე დღის შემდეგ ალაყაფის კარები მომითხუპნეს საზიზღარ დაცინვით: «დროზედ შეგაკვეცეთ ფრთები, ჩვენო მამალო არწივო, დროზედ დაგთხარეთ მარჯვენა თვალი, თორემ ძალზედ გაგვიმედიდურდი და ერთობ მაღლა იწევდიო. გვიფრთხილდი, დედა ფუტკარო, თორემ შენც მალე აგკიდებთ ბარგს საიქიოსკენაო. დეე, ქოფაქი დედაშენიც იტანჯოსო». (მწარედ) ხა-ხა-ხა!

---

*) იხ. „ივერია“ № 203.

«არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს; იყოს სოფელში და სოფელს კი არა-რა არგოს».

ხელოსანი ალექსანდრე მაჭავარიანი

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

1 სექტემბერი.

**ვაშინგტონი.** (რეიტერი). «ლენას» საქმე გარდაეცა განსახილველად პრეზიდენტს. რუზველტმა უბრძანა სახელმწიფო და საზღვაო დეპარტამენტებს, საქმე გაათავონ. ორი თვე ვადა მისცეს «ლენას» შეკეთებისათვის.

**ბერლინი.** აქაური პრესსა ლაპარაკობს ახლად დანიშნულ რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრზე თავად სვიატოპოლკ-მირსკიზე. „ნაციონალ ცეიტუნგი“ ულოცავს დანიშვნას და ამბობს, რომ ახალი მინისტრი მცოდნე და გამოცდილ კაცია და კანონიერობის სასტიკი მიმდევარიო. «ფოსიშე ცეიტუნგი» ამბობს, რომ ახალის მინისტრის დანიშვნამ კმაყოფილება გამოიწვია რუსეთის ყველა საზოგადოებისაგანაო. გაზეთი აღნიშნავს მინისტრის ზნეობრივ თვისებებსა და აღიარებს ჭკვიან და ჰუმანიურ ადამიანად.

**პეტროპავლოვსკი.** კამჩატკაში გაიგეს თუ არა ომის დაწყება, შესდგა «დრუჟინა» 67 კაცისაგან. 1 მაისიდგან კამჩატკის მდინარეების შესართავებში გამოჩნდნენ იაპონელ მეკობრეთა ნავები. ივნისში სოფ. ივანსა და მალიგინოს გადმოვიდა იაპონიის ლეიტენანტი ბუნძი 150 შეიარაღებულ კაცითა. იაპონელებმა გაძარცვეს სოფლები, გარეკეს მცხოვრებნი, პროკლამაციები დაარიგეს, იწამეთ იაპონიის იმპერიაო, აღმართეს თავიანთი ბაირაღი, დასდგეს ბოძი, ზედ წააწერეს, რომ ამიერიდან ეს ადგილი ეკუთვნის იაპონიასაო, და ვინც ამას არ იწამებს, მოკლულ იქმნებაო. 30 ივნისს გაიგზავნა პრაპორშჩიკი ჟაბა ნავით, რომელშიაც ჩასხა «დრუჟინა», ხმელეთით წავიდა უნტერ-აფიცერი სოტნიკოვი ასის კაცით. ესენი შეიყარნენ სოფ. ივანთან, დაამარცხეს იაპონელნი და ტყვედ წაიყვანეს იმათი ბელადი ლეიტენანტი ბუნძი. ჩვენ ერთი მოგვიკლეს და 4 დაგვიჭრეს. იაპონელებს 17 მოუკლეს და რამდენი დაიჭრა არ ვიცით, რადგან იაპონელებმა წაასხეს დაჭრილები. სოტნიკოვმა მოაძრო ბაირაღი და ბოძი და მაზრის უფროსს მიუტანა. სულ დასწვეს 5 ნავი იაპონელთა და 70 კაცი მოჰკლეს.

**ლონდონი.** (რეიტერი). «დეილი ქრონიკლის» კორესპონდენტი, კუროკის ლაშქარში მყოფი, დეპეშით იუწყება ლიაოიანიდან, რომ რუსებმა დიდი სიმამაცე გამოიჩინესო. მაშველ ჯარს სისწრაფით გზავნიდნენ. ქვეითა ჯარმა პირველად დაიწყო გაშლით ბრძოლა, რამდენჯერმე ხიშტით შეეტაკა მტერსა და დიდმა ცეცხლმა ზარბაზნისამ ვერ შეადრკო ისინი. დაჭრილი რუსი ამბობს, კუროპატკინმა ბრძანება გასცა, დაიცავით პოზიციები, მანამ ერთი კაციც არის ცოცხალი და უკან ნუ დაიხევთ, სანამ ბრძანება არ მიღოთო.

**ვლადივოსტოკი.** (საკ. კორესპ.). აქაურმა სადავლო სასამართლომ ინგლისის გემი «კალხასი» გაანთავისუფლა ბარგითა, ხოლო დააკავა ის ბარგი, რომელიც იაპონიაში იგზავნებოდა—13 ათასი ტომარა ფქვილი, 36 ცალი—ბამბა და 97 ხე.

**ჩიფუ.** (რეიტერი). «ნოვი კრაი» აღნიშნავს იაპონელთა დაუღალავს მხნეობას. ისინი დღე-ღამ აკეთებენ სიმაგრეებს ერლუნშანდანთანაო. სროლა ერთმანეთში კიდევ არის. რუსის მზვერავები შეუმჩნევლად მივიდნენ იაპონელების სადარაჯოსთან და ხუთი დარაჯი წამოიყვანესო.

**ტოკიო.** (რეიტერი). ხმაა, ვითომც ჩინეთის მთავრობას უნდა გაჰგზავნოს ვუტინფანი, გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგი, ევროპასა და შეერთებულს შტატებში იმ აზრით, რომ მანჯურიის მომავალ ბედზე მოელაპარაკოს.—გაზეთებში დეპეშებით დაბეჭდილია, ვითომ სან-ფრანცისკოში მცხოვრებ იაპონელთ «ლენას» აფეთქება უნდათო. იაპონიის კონსულმა დაუშალა. საიდუმლო პოლიცია სდარაჯობს რუსის გემსა.

**ნიუ იორკი.** (რეიტერი). მასაჩუსეტსში აკეთებენ იაპონიის მთავრობისათვის ხუთს წყალქვეშ მავალ ნავსა. ერთი ნავი უკვე გაგზავნეს იაპონიაში — წარსულ ნოემბერში.

**ტიანძინი.** (რეიტერი) ლიაოიანის ბრძოლის დაწყებიდან და რუსების მუკდენისკენ დაწევიდან ათასი ჩინელი გამოიქცა ტიანძინს; ჩინეთის რკინის გზას მიჰყავს ისინი მთავრობის ხარჯით. გაჭირვებულ ყოფაში არიან, ქონებისგან დაცარიელებულან.

**ლონდონი.** (ვოლფი). ლიაოიანის ბრძოლის აღწერაში «რეიტერის სააგ.»-ს კორესპონდენტი, კუროკთან მყოფი, ამბობს: უკანასკნელ იერიშის დროს იაპონიის ბატალიონმა ჩრდილო-აღმოსავლეთად ლიაოიანიდან გზა გაჰკაფა რუსების თხრილებამდე, მივიდნენ კიდეც, მაგრამ შემოაკლდათ ტყვია-წამალი; იაპონელებმა მიჰმართეს ხიშტებსა და სცადეს მტრის უმთავრეს ძალამდე მიეღწიათ, მაგრამ ყველანი თხრილებ წინ გასწყდნენ. ორთავე ლაშქარს შემოაკლდათ საომარი მასალა.

**ჩიფუ.** (რეიტერი). დალნიდან მოსულმა შიკრიკმა, რომელსაც იაპონიის ბანაკი უნახავს პორტ-არტურთან, სთქვა: 300 ათასი ჩინელი მუშა (კული) მუშაობს დალნისა და პორტ-არტურის შუაო. დალნიში მიდიან ბევრი ჯარები, აგრეთვე დაჭრილებიცა. მეციხოვნეთა ყოფა გაუკეთესდა მას შემდეგ, რაც რამდენიმე გემი გაძვრა იაპონელთა გემებს შუა. ესეც-კია, იაპონიის ფლოტმა მაგარი სალტე შემოაკრა; შიკრიკის სიტყვით, რუსის სამი გემი ძალიან დაზიანდა. ის ამბობს, ციხის აღებას დიდი შრომა კაი ხანს ალყა დასჭირდებაო. მეციხოვნეთა რიცხვი 10 ათასი კაცამდე იქნებაო.

**ლონდონი.** (რეიტერი). კორესპონდენტი «დელი ტელეგრაფისა» ბენეტ პერლეი, ოქუს ლაშქარში მყოფი, ტიანძინში გაგზავნილ დეპეშაში ამბობს: საფუძველი არ არის ვსთქვათ, რომ რუსები «დუმ-დუმის» ტყვიას ხმარობდნენო, და დასძენს, მუკდენში 40 ათასი რუსი იყოო. იაპონელებს ცხენების მოხმარება არა სცოდნიათ, ათასობით აქვთ დამტვრეული ფეხებიო. იაპონელთ უჭირავთ ადგილები ჩრდილოეთად, მ. ინარე ლიაოხეს გაყოლებაზე სინმანტანამდე.—გროვდება დიდძალი ხუნხუზობა მუკდენიდან ჩრდილოეთად. იაპონელთ შეაქუჩეს ჯარი და აპირობენ მუკდენზე გალაშქრებას.—«დელი ტელეგრაფის» კორესპონდენტი, რომელიც რუსეთის ლაშქარში ყოფილა ლიაოიანში, ამბობს: მე დუმ-დუმის ტყვია არც ერთხელ არ მინახავს რუსის ლაშქარშიო.

**ლონდონი.** (რეიტერი) «დელი-ტელეგრაფმა» კრიტიკულად გაშინჯა მეთაურ წერილში სტრატეგია და ტაქტიკა იაპონელთა და ამბობს, ჯერ-ჯერობით კუროპატკინი ამ ომის ველზე ყველაზე ნიჭიერი სარდალიაო.

**მუკდენი.** (რეიტერი) იაპონელნი მუკდენიდან 30 ვერსზე სდგანან. წინსვლის ნიშნები არ სჩანს.

**პეტერბურგი.** დეპეშა გენერალ ადიუტანტის კუროპატკინისა 29 აგვისტოს მის უდიდებულესობის სახელზე:

«როგორც ეხლა გამოირკვა მოქმედება ჩვენის ლაშქრის სხვა-და-სხვა კორპუსებისა 13 აგვისტოდგან დაწყებულ ბრძოლაში, შემიძლიან წარმოვუდგინო თქვენს უდიდებულესობას შემდეგი ანგარიში ბრძოლის შესახებ: 13 აგვისტოს მანჯურიის ლაშქარს სამ ნაწილად ეჭირა სიმაგრები პეგოუსა და ანპინთან მარცხენა მხარეს, ლანდანსიანთან შუაში და ანშანჯანთან—მარჯვნივ. 13 აგვისტოს იაპონელები წამოვიდნენ ყველა მხრიდგან შუბლის ჯარის წინაღმდეგ. ლანდანსიანთან იაპონელები უკუ-იქცნენ. მარცხენა მხარეს დიდის ბრძოლის შემდეგ ჩვენ შევვრჩა უმთავრესი სიმაგრე ანპინთან, მაგრამ იაპონელებმა დაიჭირეს სიმაგრეები პეგოუსთან და სცდილობდნენ გადაეჭრათ მარცხენა ფრთის კორპუსი ტანხეს ხეობაში. ამავე დროს აღმოჩნდა, რომ მტერი დიდის ჯარით სცდილობდა ჩამოეჭრა მარცხენა ფრთა ანშანჯანთან. ლანდანსანთან იმდენი ჯარი დავტოვე, რომ მტერი შეეჩერებინა და დიდად დაეზიანებინა. მე ყველა კორპუსები ლიაოიანის წინ სიმაგრეებზე დავწიე, რადგან აღმოსავლეთის ფრონტზე მთა-ღრეებია და ამასთან წვიმა-ავდარმა გზები გააფუჭა. სამხრეთ ფრონტიდგან ლიაოიანისკენ ჯარის დაწევას ორი დღე მოუნდა და ყველა ჯარის კაცების თავ-განწირულობის წყალობით მთლად არტილერია და ეტლები წამოვიყვანეთ; ზოგს აღმართებზე ჯარის კაცები ხელით მოათრევდნენ ზარბაზნებს. ვაკე ადგილზე მოძრაობა უფრო ძნელი იყო. მარცხენა და შუა რაზმებმა ზარბაზნები ლიაოიანს მოზიდეს; მარჯვენა რაზმს კი მეტად გაუჭირდა და თან მტერიც მოსდევდა. ერთი ბატარეა ჭაობიან ადგილში ჩაეფლო და იმის ამოღებას დიდი ჯაფა დასჭირდა. ერთს ზარბაზანს 24 ცხენი ესეოდა, ჯარის კაცებიც ეხმარებოდნენ ზარბაზნების გამოტანას, მაგრამ თვითონვე ეფლობოდნენ ტალახში. ვიდრე ბატარეა თავის ადგილს მივიდოდა, გენერალი რუტკოვსკი განგებ დიდს ხანს შეჩერდა მტრის წინ და დიდათაც დაზიანდა. იქ მოჰკლეს თვით გენერალი რუტკოვსკი და მეოთხე ციმბირის პოლკის უფროსი პოდპოლკოვნიკი ფონ-რააზენი. ამისთანა მსხვერპლმაც ვერ უშველა და ბატარეა მაინც დავტოვეთ.

16 აგვისტოს ლაშქარი ლიაოიანთან მოგროვდა და ერთი კორპუსი ტაიძიხეს მარჯვენა მხარეს გადავიდა.

17 და 18 აგვისტოს იაპონელებმა იერიში მიიტანეს ჩვენს წინა სიიმაგრეებზე, მაგრამ უკუ-იქცნენ. შუბლისა და მარცხენა ჯარის ცხარე ბრძოლამ სავარაუდო ჯარიც მოითხოვა.

19 აგვისტოს ლაშქრის მომეტებული ნაწილი მდინარე ტაიძიხეს მარჯვენა ნაპირს გადასულიყო. რადგან 17 და 18 აგვისტოს კუროკის ლაშქარი სუსტად მოქმედობდა საერთო იერიშის დროს, საფიქრებელი იყო, რომ კუროკის ლაშქარი ტაიძიხეს გადავიდოდა და გზის გადაჭრას ეცდებოდა. ამ გარამოების გამო გადავსწყვიტე, ჯარი წინა სიმაგრეებიდგან უკან დამეწია და კუროკის ლაშქარი მდინარე ტაიძიხესთან მიმემწყვდია. ეს განზრახვა შესრულდა კიდეც. 19 აგვისტოს, დილით, ჩვენი ჯარი ტაიძიხეზე გადავიყვანეთ. ჩვენგან მიტოვებული წინასიმაგრეები მტერმა მხოლოდ 19 აგვისტოს, სალამოს, დაიჭირა და ლიაოიანს ზარბაზნები დაუშინა. მტერს არავითარი დავლა არ ჩავარდნია. როდესაც ყოველივე შევამზადეთ, ღამე 20 აგვისტოს მარჯვენა ფრთის კორპუსის უფროსმა გვაცნობა, იმ ღამეს იაპონელებმა დიდ-მნიშვნელოვანი სიმაგრე დაიჭირეს სიკვანტუნთან და ჩვენი პოლკი უკუ-აქციესო. პირველ გეგმის შეცვლა დაგვჭირდა და სიმაგრის ხელ-ახლად აღება განვიზრახე. სალამოს სიმაგრე და სოფელი სიკვანტუნი ისევ ჩვენ დავიჭირეთ.

მარცხენა ფრთასთან, იანტაის მადნების მხარეს, 20 აგვისტოს შემდეგი მოხდა: გენერალ-მაიორის ორლოვის რაზმმა კარგი სიმაგრე დაიჭირა, ექვს ვერსტის მოშორებით ჩვენის მარცხენა ფრთის კორპუსიდგან. ამ ფრთის დასახმარებლად გენერალმა ორლოვმა თავის ჯარის ნაწილი ქვემოდ გაგზავნა სოფელ სახტუნისკენ. მთელი ის ადგილი გაოლიანით არის მოცული. მტერმა წინიდგან და გვერდიდგან ზარბაზნები დაუშინა, რაზმს გაოლიანში გზა დაებნა და უკან დაიწია; მაღლობზე დარჩენილი ჯარი დასავლეთისკენ დაიძრა. გენერალი ორლოვი დაიჭრა და გენერალ-მაიორი ფომინი ჭრილობისაგან გარდაიცვალა. ეს მაღლობი რომ დაიჭირეს, იაპონელები წინ წავიდნენ და სხვა მაღლობები და იანტაის სამადნეც დაიჭირეს. ციმბირის ყაზახთა რაზმი გენერალ სამსონოვის უფროსობით თავგამოდებით იცავდა სიმაგრეებს, მაგრამ იძულებულ იყო მიეტოვებინა. ამიტომ მე გადავსწყვიტე მუკდენისკენ დამეწია ლაშქარი და 25 აგვისტომდე ავასრულე კიდეც. ლიაოიანის დაცლა 21 აგვისტოს დავიწყეთ და გავათავეთ 22 აგვისტოს, დილით. საწყობები სულ გამოვზიდეთ და მხოლოდ საინტენდანტო საწყობებიდგან ვერ გამოვიტანეთ სურსათი, რომელიც მთელს ლაშქარს 8 დღეს ეყოფოდა. სასელდახელოდ გადებული ხიდები ავშალეთ და ბოგირები დავწვით. რკინის ხიდს იატაკი ავაცალეთ. ჯარი მწყობრად მოდიოდა. მტერმა დევნა დაგვიწყო, მაგრამ მოვიგერიეთ. 21 და 22 აგვისტოს ვეცადეთ, რომ მტერს გზა არ გადაეჭრა აღმოსავლეთის მხარეს. სამხრეთიდგან მტერი აღარ მოგვდევდა, ხოლო აღმოსავლეთიდგან კუროკის ჯარი წინ მოიწევდა. ჩვენს ჯარს, რომელიც ტალიენგოუსთან იყო, დიდი გაჭირვება დაადგა, მეტადრე ღამე, 23 აგვისტოს. ჩვენი ბანაკი შევირჩინეთ, მაგრამ ერთს პოლკში, რომელიც იმას იცავდა, 500 კაცი დაიხოცა.

23 აგვისტოს, სალამოს, აღარაფერი შიშის აღარ იყო გარშემორტყმისა. ჯარს დიდის გაჭირვებით მიჰქონდა ზარბაზნები და ეტლები მუკდენისკენ და 25 აგვისტომდე მთლად ლაშქარმა გამოიარა. არც ერთს ბრძოლაში, 17 აგვისტოს აქეთ, არც ერთი დროშა მტერს არ ჩაჰვარდნია. საპიორები თავგანწირულად მუშაობდნენ გზების შეკეთებისა და ხიდების გადების დროს და ეტლებსაც ჰშველოდნენ. ამას უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას».

2 სექტემბერი.

**ხარბინი.** (საკ. კორ.). კერძო ცნობებია, რომ იაპონელნი ჩრდილოეთად აღარ მიდიან. იმათი მოწინავე ჯარები იანტაისკენ წავიდნენ. უმთავრესი ძალა ლიაოიანთან არის. საფიქრებელია, რომ ლიაოიანთან ბრძოლამ იაპონელნი ისე მოჰქანცა, რომ წინ წაწევა ამ ჟამად უძნელდებათ.

**ტოკიო.** (რეიტერი). ოიამა იუწყება, რუსის დიდი ჯარი ჯერ ისევ მდინარე ხუნხეს სამხრეთად არისო. ისინი ორთავე ნაპირებს ამაგრებენ.

**ტოკიო.** (რეიტერი). ნოძუ იუწყება, უფრო გაცხარებული ბრძოლა, რომელშიაც მისმა ლაშქარმა მიიღო ლიაოიანთან მონაწილეობა, მოხდა 21 აგვისტოს. მე-20 პოლკმა, რომელსაც მოუკლეს ჯერ ერთი, მერე ორი პოლკის და ოთხი ბატალიონის უფროსი, თავდავიწყებული იერიში მიტანა რუსის პოზიციებზე იუფანმიაოსთან და რუსები სიმაგრეებიდან გამოდევნა. იაპონელებს კაპიტანზე უფროსი უფიცერი აღარ შერჩათ. აფიცერმა იეგამამ იკისრა უფროსობა და «ურას» ყვირილით წავიდა იერიშითა. უკან მაშველი ჯარი მისდევდა. ჯარის კაცნი ყურსაც არ ათხოვებდნენ მავთულებით ჩახერგილ ადგილებსა. როდესაც «ბანზაის» ძახილით იერიში მიიტანეს რუსის სიმაგრეებზე, ბატალიონს ერთი აფიცერი აღარ შერჩა; მაშინ უბრალო ჯარის-კაცი გაუძღვა უფროსად; ერთს როტაში 14 თუ 15 კაცი-ღა დარჩა.

---

**ლუარ.** საზიზღარნი! რა თქმა უნდა, ღამე მოხდებოდა ეს ამბავი?

**ილიკო.** ვფიქრობ, რომ ღამე უნდა ყოფილიყო.

**ლუარ.** რა უნდოდა იმ დროს ტყის ბოლოში შენს ძმას, მუხასთან?

**ილიკო.** სანადიროდ იყო წასული და ალბად სახლში ბრუნდებოდა.

**ლუარ.** მერე შენ როდის გაიგე?

**ილიკო.** სამი დღე ვეძებე და მეოთხეზედ მივაგენი კვალს.

**ლუარ.** როგორ, სადმე დაემალათ თუ?

**ილიკო.** იქ ერთი წაქცეული წიფელა იყო და იმის ფუღუროში ჩაეგდოთ ცხედარი. ჩემს მისვლამდე უკვე გახრწნილიყო. დახვეოდნენ მატლები, ასე რომ მარტო ფეხები და თავის ქალა მოვასვენე სახლში და, რა დღეც გავითენდებოდა, შენც წარმოიდგენ.

**ლუარ.** ოჰ, ღმერთო, დიდებულო!

**ილიკო.** ძალიან დამწია მაგ გარემოებამ, ლუა, ძალიან.

**ლუარ.** საცოდავი ყმაწვილი!.. რამდენის წლისა იყო?

**ილიკო.** ოც და ორისა იყო.

**ლუარ.** სადა სწავლობდა?

**ილიკო.** ჯერ მოსკოვში, მერე კი კენიგსბერგის უნივერსიტეტში.

**ლუარ.** მებრალები და თანაგიგრძნობ, ძმაო

**ილიკო.** ოჰ, ლუარსაბ! დიდია, დიდი ჩემი უბედურება. რომ იცოდე, რა ძმა დავკარგე, უფრო მეტად შეგებრალებოდი. რაც კი რამ გვებადა, უძრავი თუ მოძრავი, სულ მთლად დავ ყიდეთ იმის გულისთვის. ნახევარი ჩემის ენერგიისა იმის აღზრდას შევალიე. ის იყო ჩემის ოჯახისა და უნუგეშო დედის ბრწყინვალე ვარსკვლავი, ის იყო მომავალი საზოგადო მოღვაწე, მაგრამ სინათლის მტრებმა ძირში მომიჭრეს საიმედო ცხოვრების ბოძი.

**ლუარ.** რად მოიქმედეს, თუ იცი, ეს ბოროტ-მოქმედება?

**ილიკო.** ჩემთვის, ჩემის ნიშნის მოსაგებად.

**ლუარ.** იმის მეტი ძმა არა გყოლია?

**ილიკო.** მყავდა უფროსი ძმა და ისიც ამ ცხრა წლის წინად დამიჩეხეს სადღაც ქორწილში, იმავე განზრახვით, როგორც მეორე.

**ლუარ.** დედაშენი რად დადის წყლისკენ?

**ილიკო.** დედაჩემი დადის იმ მუხასთან.

**ლუარ.** მერე?

**ილიკო.** მერე ისა, რომ ის ადგილი უხვად მორწყულია იმის ბედ-კრულ შვილის სისხლითდა მის სალოცავ ხატად გარდაიქცა.

**ლუა.** როგორ?

**ილიკო.** იმ დღიდგან მოკიდებული, მუდამ ცის ამარა დღეს დადის იქ და მოსთქვამს. ასკდება დედამიწას და ჰკოცნის. სწყევლის მარშანიძიანთ ოჯახს, მლანძღავს და მწყევლის მეც, სწყევლის ჩემის გაჩენის დღეს, ჩემის აქ მოსვლის ხანს. დარწმუნებულია, რომ მის ოჯახის უბედურობის მიზეზი თავდაპირველად მე ვარ. შეინახა იმ უბედურ ბავშვის ტანისამოსი, ჩაიტანს იქ, ეალერსება, ცრემლებს აფრქვევს და, როცა არაქათი გამოელევა, მოლასლასდება სახლში და ლოგინად ჩავარდება. მოიკეთებს ცოტათი თუ არა, ისევ იგივე მეორდება, მხოლოდ უფრო სისტემატიურად. იმ დროს, როცა გაისმის დამწუხრებულ მოხუცის ბლავილი ხელ-ფეხიან მუხასთან, კნეინა კატო ფორტეპიანოს ააჟღრიალებს და ამით უპასუხებს თვის მსხვერპლის დედას. (ამ დროს მოისმის წყლის პირიდგან ყრუდ, რაღაც საიდუმლოდ ბებია მაიკოს მწარე მოთქმა). «შვილო, დედა, შვილო! შავის მიწისთვის ვის ემეტებოდი, შვილო?! უბედურ დედა შენს ხმა გაეც, შვილო! (ორივენი შეკრთებიან, ილიკოს დიდი აღელვება ემჩნევა).

**ილიკო.** (აღელვებული ხელს მოჰკიდებს ლუარსაბს და იქითკენ მიახედებს). აჰა, ესეც გამწარებული დედაჩემი, შენ ეს იშვიათი ან და ჩქარა წარმავალი მოვლენა არ გეგონოს, ჩემო ძამია! არა, ეს ყოველ დღიური ცეცხლია, საუკუნო მდუღარება, გესმის? საუკუნო მეთქი! (ისმის შორიდგანვე ფორტეპიანოს წკრიალა და მხიარული ხმები).

**ლუარსაბი.** (ილიკოს აკანკალებს) ილიკო, ილიკო! რა მოგდის, კაცო, კანკალებ? დაუჯერებელია სწორედ; შენ ხომ ჩემი გმირი ილიკო ხარ, ნუ თუ რისიმე გეშინიან?

**ილიკო.** ნუ მეუბნები მაგ სიტყვებს, ნუ! თუ გმირობა სულისა და გრძნობათა სიდამბლავეა, იმ შემთხვევაში პირველი მე უარვჰყოფ მას და საჯაროდაც დავიყვირებ, რომ არა ვარ გმირი და არცა მსურს გმირად ყოფნა. სიმხდალესაც ვერ დამწამებ, რადგან ამ ქვეყნად არაფრისა არ მეშინიან, თუმცა კი დაბადებიდან დღემდე ყველაფერი ჩემ წინააღმდეგ იყო ამხედრებული. მხოლოდ იმ დედაბრის სევდითა და საყვედურით აღსავსე თვალებს ვერ გავმაგრებივარ. მკლავს მე მისი თვალები! მკლავს ღ ლამის გამაცოფოს, ჰკუიდან შემშალოს იმ ზარ-დამცემმა ღმუილმა; მხოლოდ მის წინაშე თრთის მენაბდიანთ ილიკო, მაგრამ (წელში გასწორდება) მაინც იძულებული ვარ ჩავეთრიო იქ, დავამშვიდო და იმავ დროს მთელის საუკუნის წამება ზურგზედ ავიკიდო. შენ აქ დარჩი ჩემს მოსვლამდე, არ შეშინდე, არ გამეპარო. თუ მწარე ცხოვრების უღელში შებმა გაშინებს, სეირს მაინც უყურე შორიდან. (გაისმის ხმა კიდევ) «შვილო, დედა! შვილო!» (ამას ბანს აძლევს ფორტეპიანოს მომხიბლავი ხმები, რომელიც შორიდან ფალცეტით-ღა ისმის). დაგცინიან! უბედურო დედა, მტრები დაგცინიან, ამ საზიზღარის ლონისძიებით ჰსურდათ იმ საბრალოებს ჩემი უკუ-ქცევა ბრძოლის ველიდგან, მაგრამ მოსტყუვდნენ, რადგან უფრო გამაღიზიანეს, ერთი-ორად გამოირკვეს სულის ძლიერება და იმათ ყალბ საფუძველზე აგებულის ცხოვრების მდევნელი ვიქნები მანამ, სანამ ჩემს ძმასავით მეც არ ჩამაღრჩობენ სადმე ქურდულად. ჩემის დათიკოს წყვილ დახუჭულ თვალების ნაცვლად ათი, ასი, თუნდა ათასი ბნელეთში მყოფი თვალები ელირსება სინათლეს და ყველა ესენი ჩემი ძმები და შენი შვილები იქმნებიან, ჩემო უბედურო მშობელო! (გარბის).

**ლუარსაბ.** (ხითხითებს). დამარცხებაც ამა ჰქვიან.. ჯან, კატო ჯან! (მერე ისეც გაეშურება იქითკენ) ილიკო! ილიკო! მოიცა, კაცო, მეც თან მოგყვები..

ფარდა.

ტრ. რამიშვილი.

(შემდეგი იქნება)

პოლკს დააკლდა 1200—1300 კაცამდე. თუმცა ჯარი დაიქანცა, მაგრამ რუსებს მაინც 22 აგვისტოს გათენებამდე სდიეს. უხიდობამ მდინარეზე შეაბრკოლა ისინი და ტაიძიხეს სამხრეთით დარჩნენ.

**ტელინი.** (ბერლინით). რუსის დიდი ძალა ტელინის სამხრეთად არის. დროებითი სიჩუმე ჩამოვარდა იაპონელთა შორის. მხოლოდ 10 კილომეტრამდე წაიწიეს ჩრდილოეთად.

**ტოკიო.** (ბერლინით). გადასწყდა დაფუძნდეს იაპონიაში თავისუფალი ფლოტი საზოგადო ფულითა. გემებს იაპონიაშივე გააკეთებენ და, თუ საჭიროება მოითხოვს, მზა გემებსაც იყიდიან. იაპონიის მთავრობა ფიქრობს, რა საქმე გაუჩინოს რუსის ტყვეებსა, რომელთა რიცხვიც თითქმის სამი ათასია. ისინი უსაქმოდ არიან და იმათი შენახვა მთავრობას 500 ათასი იენი დაუჯდება.

**ტოკიო.** (რეიტერი). ოიამა იუწყება, რუსის მზვერავები იაპონელთა სადგომების ახლო ჩნდებიან ხოლმეო. რუსების ბანაკები ალმოაჩინეს ლიულიტაიძთან და სუიტაიძთან. სხვა რუსის ჯარები სდგას სინმინტინსა და მუკდენს შუა.

**ჰელსინგფორსი.** 1-ლ სეკდებერს ჩვეულებრივის სამხედრო პატივით დაასაფლავეს ადმირალი ფონ-კრემერი.

**პეტერბურგი.** „პრავიტ. ვესტნ.“-ში ხოლერის საწინააღმდეგოდ უმაღლესად დამტკიცებული კომისია აცხადებს: „15—22 აგვისტომდე იმიერ-კასპიის მხარეში ხოლერით ავად გამხდარა 62 კაცი, აქედგან მოკვდა 43. 22-დგან 29-მდე კიდევ ავად გაჰხდა 77 და მოკვდა 48. გასანკულის მახლობელ სოფლებში, კასპიის ზღვის ნაპირას, 22—29-მდე ხოლერით მოკვდა 38 თურქმენი. ხოლერით ავადმყოფობა უფრო მერვში გავრცელებული და ბაირამ-ალის სადგურზედ. იმიერ-კასპიის მხრის გარდა, შემთხვევა ხოლერით ავად გახდომისა ბაქოშიაც, იყო, სადაც 26 აგვისტოს ავად გახდა თათრის პატარა ქალი და ერთი სპარსელი, ხოლო 26-ს ამ ქალის მამა“.

«კასპიის ზღვის ნაპირებზედ მდებარე გასსანკული და სოფ. ჩიკიშლიარი ხოლერის მხრით საშიშოდ არის ცნობილი».

**ვლადივოსტოკი,** 13 აგვისტო. (სააგ. საკ. კორესპ.). 1-ლ აგვისტოს ბრძოლაში კრეისერებზედ დაჭრილთა უმრავლესობა თანდათან რჩება და თავთავიანთ გემებზედ ჰბრუნდებიან.

**შანჰაი,** 1 სეკდემბერი. (რეიტერი). ჩინეთის მთავრობამ განსაკუთრებული წარმომადგენელი დაჰნიშნა იაპონიასა და რუსეთში გასაგზავნად მანჯურიის ჩინეთისთვის დაბრუნების საქმის გამოსარკვევად.

გენ.-ად. ალექსეევი მუკდენს მივიდა.

რუსეთ-ჩინეთის ბანკი მუკდენში დაჰკეტეს. მთავრობის შენობებზედ დროშები ახსნეს.

რუსებმა ტელინის გარშემო მინდვრებში ფეტვი აჰკრიბეს.

**ტოკიო,** 1 სეკდ. (რეიტერი). იაპონიამ გადასწყვიტა მოაწყოს დიდი თავისუფალი ფლოტი. ფულს საზოგადო ხელის მოწერით შეაგროვებენ. ამ ფლოტის გემები მომეტებულ ნაწილად იდარაჯებს ზღვაზედ და დაიცავენ იაპონიის სავაჭრო ფლოტის გემებს რუსეთის თავისუფალ ფლოტის კრეისერებისაგან. ეს პროექტი დიდის თანაგრძნობით იქმნა მიღებული მთელს იაპონიაში.

**ლონდონი,** 2 სეკდემბერი. (რეიტერი). ლიაოიანიდგან იუწყებიან 26 აგვისტოს თარიღით, სურსათის საწყობები ჯერ კიდევ იწვისო. სადგური დანგრეულია. იაპონელთ ცოტა ვაგონები იგდეს ხელთ. ვერც ერთი ორთქლ-მავალი კი ვერ დაინარჩუნეს, ორთქლ-მავალთა უქონლობის გამო იაპონელნი რკინის გზით ცოტას სარგებლობენ. რამდენიმე დაჭრილი რუსი დარჩა ქალაქში. მეორე ლაშქრის ცდას, რომ იერიშით აეღოთ რუსთა პოზიციები, შედეგად მათთვის აუარებელი ზარალი მოჰყვა. რუსების ცეცხლით მთელი როტები იჟლიტებოდა. თხრილებში საშინელი ჩხუბი იყო—მთელის საათობით იბრძოდნენ ხიშტებით. თხრილები გაივსო რუს და იაპონელთა დახოცილთა გვამებით და ზედ გადადიოდნენ. როდესაც თოფები დაჰკარგეს, თხრილებში დანებითა და ხიშტებით ომობდნენ. იპოვეს აუარებელი ცხედრები, რომელნიც სიკვდილამდე ერთმანერთს ჩასჭიდებოდნენ და ისე ეომნათ.

**ჩიფუ,** 2 სეკდემბერი. (რეიტერი). 28 აგვისტოს ლიაოტეშანის კონცხიდგან წასული ჩინელი იუწყება, იერიში, რომელიც ამ დღეს უნდა მიეტანათ იაპონელთ, ვერ მოხერხდაო. ეს ჩინელი ამბობს, რუსებმა უმთავრესი ყურადღება ჩრდილო-აღმოსავლეთის სიმაგრეებს მიაქციეს, მათ რიცხვში ერლუშანსა და ძიგუანშანსაო. ჯარი შავის პურით იკვებება, ხორცსა და წვნიანს კი იშვიათად თუ აძლევენო. გენ.-ადიუტანტი სტესსელი ყოველ დღე ჩამოუვლის ხოლმე სიმაგრეებს ბალაშოვის თანხლებით, არიგებს ჯარს, ამხნევებს და საჭირო განკარგულებას იძლევა. მისი დაუღალავობა მეციხოვნეთ მაგალითს აძლევს და ამხნევებს. გენერალი აინუნში არაფერს იგდებს. თუმცა მეციხოვნეთ საჭმელ-სასმელი და ძილი ძლიერ აკლიათ, მაგრამ მაინც მაგრადა სდგანან. ჩინელი ამბობს, რომ მტრედის ნავთსადგურის ჩრდილოეთ ნაპირზედ. იაპონელთ დიდი სიმაგრე ააგესო. პორტ-არტურში 16 დიდი და 40 სამინდვრო ქსენონია. ჩრდილო-აღმოსავლეთად ზურგის ჯარისათვის ამზადებენ სანგრებსა და გარშემოვლებულ თხრილებს. სროლა ყოველ დღეა, მაგრამ ხანგამოშვებით. 28 აგვისტოს იაპონელებმა ქალაქში ისროლეს ყუმბარა, რომელიც მოჰხვდა მართლმადიდებელთა ეკლესიას და ერთი ჩინელი მოჰკლა.

---

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**

გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

## გამოსადეგი ცნობანი:

**პეტერბურგის ბირჟა**

27 აგვისტოს 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. . . . | 93,95 |
| ბერლინში 100 მარკაში . . . . | — |
| პარიჟში 100 ფრანკში . . . . | — |
| ლონდონში ჩეკები . . . . . . | 94,65 |
| ბერლინში „ . . . . . . | 46,30 |
| პარიჟში . . „ . . . . . . | 37,50 |
| ბირჟის დისკონტი. . . . . . | 6—$7^1/_2$% |
| 4% სახელმწიფო რენტა . . . | $91^1/_8$ მყიდ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. . . . . | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ. მამულო ბანკისა . . . | $88^7/_8$ ნის. გაყ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | $382^1/_2$ წ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. . . . . | $294^3/_4$ წვ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა. . | 252 წვ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. . . . . . | — |
| $4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. . . . . . | — |
| $4^1/_2$% ტფილ. სადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. . . . | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა. . . . . . | — |
| 6% ქუთ. სად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. . . . | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | — |

## საავადმყოფოები:

**ქალაქის სახაზინო საავადმყოფო,**—მიხეილის ქუჩა, სახაზინო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

**ქალაქის სამკურნალო**—მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა უფასოა. ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვიჩი

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:**

**ავლაბრისა.**—კახეთის ქუჩა, სახლი ტერ-ტეროვისა. გამგე ექიმი ი. იგიტიანცი.

**კუკიისა**—ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი კ. გძელიშვილი.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი თათევოსიანცი.

**თვალების სამკურნალო**—კრილოვისა და ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე, სახლი ლიბერმანისა, № 15 (ლიბერმანის სტამბის ზემო სართულში). ავადმყოფთ უფასოდ აძლევენ რჩევას. სამკურნალოს გამგე-დირექტორის თანამდებობის ალმასრულებელი ექიმი ქალი პუტიატა.

**ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის**—უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე. ბარონ ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

**სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის** საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი, თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

**გადამდებ სენით ავადმყოფთათვის** უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

**ქალაქის უფასო ღამის თავშე-საფარი სახლები:**

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

# განცხადებანი

## „ცოდნა“-ს წიგნის მაღაზიაში

ისყიდება:

| | |
|---|---|
| რაჭა სოსიკო მერკვილაძისა. . . . | 20 კ. |
| ლექსები ილია ჭავჭავაძისა—სურათით | 15 კ. |
| რაშია ბედნიერება? იასე რაჭველისა . | 10 კ. |
| სამშობლო და კაცობრიობა ი. მაჭავარიან. | 10 კ. |
| სიმღერა აკაკისა სურათით . . . . | 15 კ. |
| წმიდა გიორგის რაზმი აკაკისა . . . | 5 კ. |
| გრიგოლ ორბელიანის ლექსები. . . | 20 კ. |
| კულტურა ლიპერტისა ნათ. კ. ყიფიანისა | 50 კ. |
| ლექსიკონი რუსულ-ქართული . . . | 50 გ. |
| ლექსიკონი საბა ორბელიანისა. . . | 2 მ. 50 კ. |
| სახოკიასი რუსულ-ქართულად. . . | 20 კ. |
| სამეგრელოს საერო სკოლები ლ. ღოღუასი | 5 კ. |
| ბაში აჩუკი აკაკისა . . . . . . | 30 კ. |
| ვაჭრული ჭკუა აკაკისა . . . . . | 5 კ. |
| პატარა ჩონგური (დედა ენა) . . . | 5 კ. |
| დათუნა გოცირიძე და რაჭის ერისთავი, როსტ. | 5 კ. |
| ოქრუა (ხალხური ზღაპარი) . . . | 5 კ. |
| სამი ზღაპარი . . . . . . . . | 10 კ. |
| აბრამის და იობის ლექსი . . . . | 3 კ. |
| თამარ მეფე სურათით . . . . . | 5 კ. |
| სურათი თამარ მეფისა დიდი . . . | 1—50 კ. |
| » » » პატარა. . . » | 6 კ. |
| თხზულება ია. ეკალაძისა . . . . | 1— „ |
| ქვათა ღაღადი ი. ჭავჭავაძისა . . . | „—30 კ. |
| თარგმანი იგივე რუსულად . . . . | „—50 კ. |
| დამაკვირდი, ბრძენთა აზრები . . . | „—50 კ. |
| მამიდა ასმათი გ. წერეთლისა . . . | „—20 კ. |
| თავ გადასავალი აკაკისა . . . . | 1—„ „ |
| სიტყვიერების თეორია ე. კ. . . . | 1—„ „ |
| გლეხი კაცის ისტორია 2,3, და 4 ნაწილი | 1—80 კ. |
| დამონებულნი ნათ. თ. სახოკიასი . . | 1—„ „ |
| ლექსიკონი ქართ.-რუს. ჩუბინაშვ. ყდ. | 9— „ „ |
| ამ გვარივე რუსულ-ქართული ყდით . | 3— „ „ |
| ლექსიკონი რ. ერისთავისა ბოტინიკრ. | „—60 კ. |
| ანტონ ქათალიკოზ. ქართ. გრამატიკა | 1— „ კ. |
| ვახუშტის გეოგრაფია . . . . . | 2— „ „ |
| ისტორ. საბუთები შიო მღვიმის მონასტრ | „—50 კ. |
| ვეფხვის ტყაოსანი წ. კ. გამოცემული. | „—60 კ. |
| მზა მეტყველება ანტონ ქათალიკოზისა. | 2—„ „ |
| დავით გურამიშვილი . . . . . . | 1—„ „ |
| ქართლის ცხოვრება I, II და III. . | 1—80 „ |
| Вступл. Грузіи въ сос. Рос. Имп. | „—40 к. |
| Исторія Грузинск. церк. Е. К. | 2 р. „ „ |
| კალმასობა იოვანე ბატონიშვილისა . | 1—„ „ |
| ამირან-დარეჯანიანი . . . . . | 1—„ „ |
| ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტის . | 1—„ „ |
| რამას განდევნა ალ. ს—შლისა. . . | „—40 კ. |

თხზულებანი: აკაკი წერეთლისა, ილია ჭავჭავაძისა. ალ. ყაზბეგისა, მამია გურიელისა, გიორგი წერეთლისა, გრ. აბაშიძისა, ვაჟაფშაველასი, არაგვისპირელისა და სხვათა.

| | |
|---|---|
| საქართველოს დიდება, საბინისასა. . | 1—20 კ. |
| სურათები ქართველ მწერალთა და მსახიობთა საფოსტო ღია ბარათზე თითო. | „—5 კ. |

აქვე ისყიდება სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელოები და ყოველგვარი ქართული წიგნები.

ვინც მოისურვებს წიგნების დაბარებას, დაუყოვნებლივ გაეგზავნება ფას დადებით.

მისამართი ფოსტით: Тифлисъ книжный магазинъ „ЦОДНА“.

მაღაზიის პატრონი **სოსიკო მერკვილაძე.**

---

ქუთაისში

**ს. ბ. თოფურიას**

## სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მხთის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშ, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებს სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.




Т—во Высшей парфюмеріи А. Ралле и Ко

„Земляничное Молоко“

# ოდესელი ოსტატი

იღებს ხვადასხვა **სატოკრო** საქმეს.

ამზადებს ჩოხის საუკეთესო მასრებს სპილოს ძვლისაგან იაფად, აგრედვე იღებს შესაკეთებლად და პირის გადასაკვრელად ქოლგებს. ოქრომჭედლების რიგი, სახლი გერმანისა, № 25.

ოსტატი ივანე იანთაშვილი.

## Одесскій токарный МАСТЕРЪ

**принимаетъ разные токарные заказы**

Приготовляетъ всѣ наилучшіе газири изъ слоновой кости.

Починяетъ и покрываетъ зонтики

Серебряный рядъ, № 25, домъ Германа.

(6—5). *Иванъ Янташвили.*




ვერცხლისა




ოქროსი



ტფილ. გამოფენა.




## ქარხანა

ზეთიანის სადებავებისა (კრასკებისა)

**ა. ა. თუთაევისა**

თხუთმეტ ამ თვის ივლისიდამ შემოკვეთით ვამზადებ რკინის სახურავებისთვის და იატაკებისთვის (ДЛЯ ПОЛОВЪ) ყველა ხაირს ფერს ზეთით გადასიდს სადებავებს (краски). ვპირდები ყველას ჩემ ნამდობს და უცნობს, რომ სადებავები იქნება უტყუარი და მაღალის ღირსების მასალით შეზავებული *), «ბელილა» და სხვა სადებავებიც გვექნება დამზადებული; ვინც მოისურვებს, ხელოსნებსაც გაუგზავნი, როგორც ტფილისში ისე სხვა ალაგას. მე თითონაც დაუხედამ საქმეს, თუ საჭირო იქნება. აგრედვე ვიღებ სახლების აშენებას, მყავს ყველანაირი ხელოსნები, ეკკლესიის სახურავებისთვის სამღვდელოებას დაეთმობა პრეისკურანტის ფასებზედ ფუთი მანეთ ნაკლებ, საქონელი ფასდადებითაც გაიგზავნება 50% ბეის მიღებით. ჩემი ადრესი: ტფილისს, ადალო თუთაევი, ელისაბედის ქუჩა, დიდუბეში, საკუთარ სახლებში.

*) რადგანაც სადებავები ძნელი საცნობია და წასმის შემდეგ მალე ფუჭდება, ამისათვის მაღალის ღირსების მასალით შეზავებული სადებავი ერთი ხუთად მეტს გასძლებს. (20—19)

---

## საუკეთესო სააგარაკო ადგილები

# ზედ სურამის მახლობლად

მაღლობს და ტყით შემოსილ მთებ შორის, სხვა და სხვა ხომისა,

## ისყიდება

იაფად და ხელ-მისაწვდომ ფასად.

იკითხეთ „ივერიის“ რედაქციის კანტორაში. (10—10)

---

ვისაც კი გსურთ აიცილოთ გაქურდვა და დამშვიდებული იყვეთ **იყიდეთ,** მარტო 4 მან. 90 კაპ., სააუდამო, უკეთესად შემუშავებული ავტომატიური ხმაურობის გამომწვეველი აპარატი „**ენდოლიანსი**“, მოწონებული ფინანსთა სამინისტროს მიერ № 13,884.

შეგიძლიანთ დაჰკეტოთ ყოველ გვარი სადგომი და საწყობი, ისინიც კი, რომლებიც იმყოფებიან თქვენგან მოშორებით. შეგიძლიანთ აგრეთვე წახვიდეთ სადმე დულ-გამშვიდებული, რომ არ გეშინოდეთ ქურდებისა. „**ენდოლიანსი**“ ანიშნებს როგორც შიგნით, ისე გარეთ მყოფთაც. რაწამს დაუპატიჟებელი სტუმარი შეხეება კარებს, ფანჯარას ანუ კარებს გასაღებად, აპარატი „**ენდოლიანსი**“, გარედგან შეუმჩნეველი, გამოიწვევს საშინელ ხმაურობას, მარტო თოფის წამლის აფეთქებით, საშიში არ არის. ხმაურობა ისმის სადგომის შიგნითაც და გარეთაც და აგრედვე შორ მანძილზედაც. თუ სადგომის პატარა ზარს შეაერთებთ აპარატთან, მაშინ აპარატის ხმაურობასთან ერთად ზარი დაიწყებს წკარუნს, რომელ სადგომშიაც უნდა იყოს, და არ შეჩერდება ვიდრე სახლის პატრონთაგანი ვინმე არ შეაჩერებს.

„**ენდოლიანსი**“ საჭირო საყდრებისა, სახლებისა აგარაკებში, მაღაზიებისა, ბეღლებისა, ჩარდახებისა, სარდაფებისა, მარნებისა, თავლებისა და სხვა სადგომების გაქურდვისაგან დასაცველად. როგორ ადგილშიაც უნდა იყოს სადგომი, სულ ერთია. ეს აპარატი მაგარი ნამუშავარია და ყველას ადვილად შეუძლიან იხმაროს.

ფასი გაგზავნით: ნიკელ გადაკრული აპარატი ჰყირს 4 მან. 90 კაპ., შევერცხლილი—5 მან. 60 კაპ.; ფასს დადებით 10 კაპეიკით მეტი ჰღირს, აზიის რუსეთში კი 30 კაპეიკით მეტი. ვინც ციმბირში გაიწერს, უნდა გამოგზავნოს 2 მან. ბეთ. შეიძლება ფოშტის მარკებით.

მსურველთ მოითხოვონ ამ ადრესით: Т-во „Эндолянъ“. Варшава, Милая 37/105.

განსაკუთრებითი ნაწარმოებია. (5—5—)



Тип. Е. И. Хеладзе. Русск. базаръ, домъ арм. семинаріи